



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის,  
ხოზის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი.

28 თებერვალი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 100

საჯარო რეესტრის წარმოების წესის შესახებ ინსტრუქციისა და საჯარო რეესტრის ფორმის  
დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 27<sup>11</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების I თავის მე-5 მუხლის „რ“ პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში საჯარო რეესტრის წარმოების წესის შესახებ ინსტრუქცია თანდართული დანართი N1 - ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს საჯარო რეესტრის ფორმა თანდართული დანართი N2 - ის შესაბამისად;
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა საჯარო მოსამსახურემ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქციით;
4. საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად ამ განკარგულების მიღების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:
  - ა) „საჯარო რეესტრის წარმოების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის 2004 წლის 15 ნოემბრის N95 განკარგულება.
5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის I ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, მის. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.



ლევან შონია  
სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი

„დამტკიცებულია“

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის

2014 წლის 28 თებერვლის

N 100 განკარგულებით

დანართი N1

## საჯარო რეესტრის წარმოების წესის შესახებ

### ინსტრუქცია

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში „კოდექსი“) 35-ე მუხლითა და ინფორმაციის თავისუფლების მე-3 თავის სხვა დებულებებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის აღრიცხვისა და საჯარო რეესტრის წარმოების წესს.
2. საჯარო რეესტრში (შემდგომში - „რეესტრი“) საჯარო ინფორმაციას აღრიცხავს დაწესებულების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე (შემდგომში - „პასუხისმგებელი პირი“).

#### მუხლი 2. რეესტრში შესატანი საჯარო ინფორმაცია

1. რეესტრში აღრიცხება როგორც ღია, ისე დახუხრული საჯარო ინფორმაცია, ანუ დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ყველა ოფიციალური დოკუმენტი (ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდო ჩანაწერები).
2. რეესტრში სავალდებულოა შეტანილ იქნეს:
  - ა) მითითება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების და ამ ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებაზე, ასევე იმ უფლებამოსილი პირის ვინაობა, რომელმაც გაასაიდუმლოვა ეს ინფორმაცია;
  - ბ) ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ, ასევე ამ მონაცემების მოთხოვნის ფაქტის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;
  - გ) ინფორმაცია კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის ფაქტის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;
  - დ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ოქმის მონაცემები;
  - ე) კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები;

### მუხლი 3. რეესტრში დოკუმენტის შეტანის წესი

1. პასუხისმგებელი პირი რეესტრში აღრიცხავს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ყველა საჯარო ინფორმაციას, მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში;
2. დოკუმენტები მხოლოდ ერთხელ შეიტანება რეესტრში. რეგისტრირებული დოკუმენტი დაწესებულების ერთი ქვედანაყოფიდან მეორეში გადაცემისას ხელმეორე რეგისტრაციას არ საჭიროებს;
3. საჯარო ინფორმაციის რეგისტრაციისას რეესტრში უნდა მიეთითოს:
  - ა) საჯარო ინფორმაციის დასახელება;
  - ბ) საჯარო ინფორმაციის მიღების, შექმნის, დამუშავების, გაგზავნის, ან გამოცემის თარიღი;
  - გ) ფიზიკური და იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის ან საჯარო დაწესებულების დასახელება, რომლისგანაც შევიდა და/ან რომელსაც გაეგზავნა ინფორმაცია;
  - დ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თარიღი და მომთხოვნის ვინაობა;
  - ე) საჯარო ინფორმაციის იდექსი და საჯარო რეესტრში შეტანის თარიღი;
  - ვ) საჯარო ინფორმაციის ორიგინალის შენახვის ადგილი;გადაწყვეტილების მიმღები პასუხისმგებელი პირის ვინაობა.

### მუხლი 4. საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების რეესტრში შეტანის წესი

1. მითითება საიდუმლო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტზე საჯარო რეესტრში შეიტანება მისი შინაარსის გაუმჟღავნებლად;
2. საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის შეტანისას ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეკვიზიტების გარდა, რეესტრში უნდა აღინიშნოს, აგრეთვე:
  - ა) საიდუმლო ინფორმაციის სახე;
  - ბ) გასაიდუმლოების საფუძველი;
  - გ) გასაიდუმლოების თარიღი და ვადა/ვადის გაგრძელება;
  - დ) უფლებამოსილი პირის ვინაობა, რომელმაც გასაიდუმლოვა ინფორმაცია.

### მუხლი 5. საჯარო რეესტრის რეკვიზიტები

1. რეესტრის თანდართული ფორმის (დანართი N2) გრაფაში მონაცემები შეიტანება შემდეგი წესით:
  - ა) გრაფაში „რეგისტრაციის ნომერი“ მიეთითება ინდექსი, რომელიც დაწესებულებამ მიანიჭა შექმნილ, დამუშავებულ, მიღებულ ან გაგზავნილ ინფორმაციას;
  - ბ) გრაფაში „რეგისტრაციის შეტანის თარიღი“ აღინიშნება თარიღი, როდესაც რეესტრში შეტანილ იქნა დაწესებულებაში შექმნილი, დამუშავებული, მიღებული ან გაგზავნილი ინფორმაცია;
  - გ) გრაფაში „საჯარო ინფორმაციის დასახელება და მოკლე შინაარსი“ შეიტანება დაწესებულებაში შექმნილი, დამუშავებული ან დაწესებულების მიერ გაგზავნილი ინფორმაციის სრული დასახელება. საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის მიმართ დაცული უნდა იქნეს წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესი.

პასუხისმგებელი პირის საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის შესახებ წერილობითი დოკუმენტის აღრიცხვისას (რომელიც რეესტრში შეიტანება როგორც დაწესებულებაში შექმნილი დოკუმენტი), უნდა შეივსოს სხვა გრაფებიც (რა დოკუმენტი იყო მოთხოვნილი, როდის და ვის მიერ, განცხადების განხილვის შედეგი და სხვა), რომლებიც განკუთვნილია ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების რეგისტრაციისათვის;

დ) გრაფაში „შემოსული საჯარო ინფორმაციის რეკვიზიტები და მოკლე შინაარსი“ შეიტანება მითითება დაწესებულებაში მიღებული დოკუმენტის სრული სახელწოდებისა და შინაარსის შესახებ. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების აღრიცხვისას (რომელიც რეესტრში შეიტანება როგორც შემოსული/მიღებული საჯარო ინფორმაცია), უნდა შეივსოს სხვა გრაფებიც (რა დოკუმენტი იყო მოთხოვნილი, როდის და ვის მიერ, განცხადების განხილვის შედეგი და სხვა), რომელიც განკუთვნილია ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების რეგისტრაციისათვის;

დ) გრაფაში „ვისგან შემოვიდა საჯარო ინფორმაცია“ მიეთითება ის საჯარო დაწესებულება, იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომლის სახელითაც შემოვიდა დოკუმენტი დაწესებულებაში;

ე) გრაფა „შემოსვლის თარიღი“ განკუთვნილია მხოლოდ მიღებული დოკუმენტებისათვის და მასში მიეთითება დოკუმენტის დაწესებულებაში შესვლის თარიღი;

ვ) გრაფებში „მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დასახელება და მოკლე შინაარსი“, „ვინ მოითხოვა საჯარო ინფორმაცია“ და „მოთხოვნის თარიღი“ შეიტანება კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დასახელება, მისი მოკლე შინაარსი, მოთხოვნის ვინაობა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების დაწესებულებაში შეტანის თარიღი;

ზ) გრაფაში „განხილვის შედეგი“ მიეთითება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განცხადების განხილვის კონკრეტული შედეგი. რეესტრში უნდა იქნას შეტანილი მითითება, „მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა“ ან „ინფორმაციის გაცემაზე მომთხოვნს ეთქვა უარი“;

ი) გრაფაში „ვის გაეგზავნა/ვისზე გაიცა საჯარო ინფორმაცია“ მიეთითება დაწესებულების მიერ გაგზავნილი წერილის ადრესატი და ასევე იმ პირის ვინაობა, ვისზეც გაიცა ან რომელსაც გაეგზავნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;

კ) გრაფაში „გაცემის/ გაგზავნის თარიღი“ შეიტანება დაწესებულების მიერ წერილის გაგზავნის თარიღი, ხოლო საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემის და/ან მითითებულ მისამართზე გაგზავნის თარიღი;

ლ) გრაფაში „ორიგინალის შენახვის ადგილი“ მიეთითება დაწესებულებაში შექმნილი, დამუშავებული ან მიღებული საჯარო ინფორმაციის ორიგინალისა ან გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის ასლის შენახვის ადგილი;

მ) გრაფაში „პასუხისმგებელი პირის ვინაობა“ შეიტანება გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა;

ნ) გრაფაში „საიდუმლო ინფორმაციის სახე“ მიეთითება იმ საიდუმლო ინფორმაციის სახე, რომელსაც შეიცავს რეესტრში გასატარებელი დოკუმენტი;

ო) გრაფაში „გასაიდუმლოების საფუძველი“ მიეთითება იმ საკანონმდებლო აქტის დასახელება, რომლის საფუძველზეც მოხდა დოკუმენტის გასაიდუმლოება. პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საჯარო რეესტრში შეტანისას, მიეთითება იმ ფიზიკური პირის ვინაობა, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც იქნა დოკუმენტი მიჩნეული პირად საიდუმლოებად;

პ) გრაფაში „გასაიდუმლოების თარიღი და ვადა“ მიეთითება დოკუმენტის საიდუმლოდ მიჩნევის თარიღი და ვადა, რა ვადათაც იგი იქნა გასაიდუმლოებული;

ჟ) გრაფაში „პასუხისმგებელი პირი, რომელმაც გასაიდუმლოვა ინფორმაცია“ შეიტანება იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა, რომლის გადაწყვეტილებითაც გასაიდუმლოვდა ინფორმაცია;

რ) გრაფაში „შენიშვნა“ შეიძლება მიეთითოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო რეესტრში შესატანი ინფორმაციის შესახებ. მაგ: „ინფორმაციას გაეცნო დედანში“, „მოთხოვნილი იყო პირადი საიდუმლოება“ და ა.შ.

### მუხლინ. რეესტრის ხელმისწვდომობა

1. რეესტრი ღიაა. ნებისმიერ დაინტერესულ პირს უფლება აქვს გაეცნოს მას და მიიღოს რეესტრის ან მისი ნაწილის ასლი.
2. რეესტრის გაცნობა უფასოა.



ლევან შონია

სახელმწიფო რეესტრის უფროსი - გუბერნატორი

„დამტკიცებულია“

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის

2014 წლის 28 თებერვლის

N 100 განკარგულებით

დანართი N2

საჯარო რეესტრის ფორმა

N	რეესტრის რეესტრის ნომერი	რეესტრის თარიღი	საჯარო ინფორმაცია და მოკლე შინაარსი	შემოსული საჯარო ინფორმაციის რეესტრის ები და მოკლე შინაარსი	ვისგან შემოვიდა საჯარო ინფორმაცია	შემოსულის თარიღი	მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოკლე შინაარსი	ვინ მოითხოვა საჯარო ინფორმაციის მიწოდება	მითხრობს თუ არა	განხილვის შედეგი	ვისგან მივიღეთ ინფორმაცია	გადავიხივეთ თუ არა	ორიგინალის შენახვის ადგილი	პასუხის ვადა	საიდუმლო ინფორმაციის სახე	გასაიდუმლოების მიზეზი	გასაიდუმლოების ვადა	პასუხის ვადა	შენიშვნა	



ლევან ჭიჭინაძე  
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი